თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 25

27 დეკემბერი 2019 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 28 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - **არჩილ თხლაშიძე**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების
მართვის საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა
კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და
ბუნებრივი რესურსების კომისიის
თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -
კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
- მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე	ალექსანდრე კუპატაძე;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	ბესიკი ქოჩიშვილი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ მუსაევი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე	ვასილ არაბული;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე	გიორგი ქიზიყელაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე	გიგა მამუკელაშვილი;
საკრებულოს ფრაქციის ,,ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარის მოადგილე	ზურაბ ნაცარაშვილი;

საკრებულოს წევრები: ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, გურამ წულუკიძე, ლევან მრელაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, ბესიკ გაიპარაშვილი, აბრამ მახარიაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერი **შოთა ნარეკლიშვილი,** მერის მოადგილე **დავით ბეგიაშვილი,** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი,** ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი **ლევან ღარიბაშვილი,** ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი,** ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე,** კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი **ფიქრია ყუშიტაშვილი,** იურიდიული სამსახურის უფროსი **ლევან ბერძენაშვილი;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეები.

დ.ღაღანიძემ მოითხოვა დღის წესრიგიდან ამოღებული იქნეს საკითხი: **„თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოსატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ“**, ვინაიდან აღმოჩნდა გარემოებები, რომლებიც მოითხოვს დამატებით შესწავლას შესაბამისი დარგის სპეციალისტების მიერ.

ნ.ვაყელიშვილმა კი მოითხოვა დღის წესრიგში დაემატოს საკითხი: **„თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში ,,თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.**

თავმჯდომარემ აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დღის წესრიგი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
   მომხს. ნ.ვაყელიშვილი
   11.00სთ-დან - 11.30სთ-მდე
2. თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ.
   მომხს. ვ. გაგნიძე
   11.30სთ-დან - 11.45სთ-მდე
3. თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
   მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
   11.45სთ-დან - 12.00სთ-მდე
4. თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ;
   მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
   12.00სთ-დან - 12.15სთ-მდე

შ ე ს ვ ე ნ ე ბ ა - 12.15 სთ-დან -12.30 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;
   მომხს. გ.თავბერიძე
   12.30 სთ-დან -12.40 სთ-მდე
6. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №34 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
   მომხს. გ.თავბერიძე
   12.40 სთ-დან -12.50 სთ-მდე
7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.
   მომხს. გ.თავბერიძე
   12.50 სთ-დან -13.00 სთ-მდე
8. თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.
   მომხს. ლ.ბერძენაშვილი
   13.00 სთ-დან -13.10 სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ქსოვრელიშვილი
13.10 სთ-დან -13.20 სთ-მდე

10. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.20 სთ-დან -13.30 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ
მომხს. ნ.ვაყელიშვილი
11.00სთ-დან - 11.30სთ-მდე

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი წარადგინა მუნიციპალიტეტის მერმა **შ.ნარეკლიშვილმა.** მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს გასული 2019 წელს ერთობლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და იმედი გამოთქვა, რომ 2020 წელსაც გაგრძელდება მჭიდრო თანამშრომლობა. შემდგომ მან ისაუბრა 2020 წლის ბიუჯეტის ძირითად პარამეტრებზე და 2020 წლის ბიუჯეტის დეტალური განხილვისათვის სიტყვა გადასცა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ნ.ვაყელიშვილს.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ნ.ვაყელიშვილმა** აღნიშნა, რომ 2020 წლის ბიუჯეტის შესწორებული ვარიანტის წარმოდგენის შემდგომ მთავრობის განკარგულების საფუძველზე თელავის მუნიციპალიტეტის გრანტების მუხლში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის გამოიყო თანხა, რომელიც უნდა აისახოს 2020 წლის ბიუჯეტის როგორც შემოსავლების ნაწილში, ასევე ხარჯვით ნაწილში.

გ.მამუკელაშვილმა დასვა კითხვა სოციალურ პროგრამებთან დაკავშირებით, რაზეც შესაბამისი განმარტებები გააკეთეს **ლ.ბერძენაშვილმა და ნ.ვაყელიშვილმა.**
გ.მამუკელაშვილმა იასუბრა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცედურებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საკრებულომ შეიმუშავა 38 რეკომენდაცია, რომელთა დიდი ნაწილიც გათვალისწინებული იქნა მუნიციპალიტეტის მერის მიერ. მან აგრეთვე ყურადღება გაამახვილა მოსახლეობის ჩრთულობაზე ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

ლ.კოჭლოშვილმა ისაუბრა იმ დადებით ტენდენციებზე, რომლებიც გამოხატა 2020 წლის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

ი.პარწიკანაშვილმა ისაუბრა ბიუჯეტის შეფასების კრიტერიუმებთაბ და მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი.
(აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ. მენთეშაშვილმა, წინააღმდეგი: ა.კუპატაძე, ა.მახარიაშვილი.**

პირველი საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დატოვა საკრებულოს წევრმა გ.მამუკელაშვილმა.

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი ძეგლთა დაცვის პროგრამის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ვ. გაგნიძე
11.30სთ-დან - 11.45სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.მრელაშვილმა** დასვა კითხვა ისტორიულ ძეგლებთან დაკავშირებით დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოების თანხების ოდენობაზე.

ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დანართში შესასწორებელია ტექნიკური შეცდომა.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26-მა (ოცდაექვსი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ა.მახარიაშვილმა.**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
11.45სთ-დან - 12.00სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორი) წევრმა: **ა.კუპატაძემ, ა.მახარიაშვილმა.**

<u>4.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსახორციელებელი სპორტულ-ახალგაზრდული პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს. ფ.ყუშიტაშვილი
12.00სთ-დან - 12.15სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ლ.კოჭლოშვილმა** აღნიშნა, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურმა მიმდინარე წელს იმუშავა საკმაოდ აქტიურად და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ წელსაც გაგრძელდება აქტიური მუშაობა კულტურულ - საგანმანათლებლო და ახალგაზრდული მიმართულებით.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25-მა (ოცდახუთი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 2-მა (ორი) წევრმა: **ა.კუპატაძემ, ა.მახარიაშვილმა.**

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ;

მომხს. გ.თავბერიძე
12.30 სთ-დან -12.40 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ ქონების მართვის კომისიას ჰქონდა მოსაზრება საწყისი საპრივატიზაციო ფასის გაზრდის შესახებ და საკრებულოს შეუძლია მისი გაზრდა იმასთან შედარებით, რაც აღნიშნულია პროექტში და ერთი კვადრატული მეტრის ღირებულება განისაზღვროს 150 ლარით.

ლ.კოჭლოშვილმა აგრეთვე აღნიშნა, რომ საპრივატიზებო საფასური უნდა იყოს რეალური.

დ.ღაღანიძემ კი მიზანშეწონილად მიიჩნია ობიექტის პრივატიზება, რადგან შენობა ფაქტიურად ინგრევა და ინვესტორი რათქმა უნდა უზრუნველყოფს მის რეაბილიტაციას.

ზ.მუსაევმა ასევე აღნიშნა, რომ საწყისი საპრივატიზაციო საფასური ძალიან დაბალია და უნდა გაიზარდოს.

ლ.მენთეშაშვილის მოსაზრებით საპრივატიზაციო თანხა უნდა განისაზღვროს აუდიტის შეფასების შესაბამისად.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26-მა (ოცდაექვსი) წევრმა, წინააღმდეგი - 1 (ერთი) წევრი **ზ.მუსაევი.**

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 ივნისის №34 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხს. გ.თავბერიძე
12.40 სთ-დან -12.50 სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ არაერთხელ იქნა აღნიშნული, რომ როცა საკითხი ეხება გარკვეული მიწის ნაკვეთებს წარმოდგენილი უნდა იყოს სიტუაციური ნახაზები.

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26-მა (ოცდაექვსი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ. მენთეშაშვილმა.**

<u>7.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 ივლისის №41 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.50 სთ-დან -13.00 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26-მა (ოცდაექვსი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ. მენთეშაშვილმა.**

<u>8.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. ლ.ბერძენაშვილი
13.00 სთ-დან -13.10 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 26-მა (ოცდაექვსი) წევრმა, **კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო:** 1-მა (ერთი) წევრმა: **ლ. მენთეშაშვილმა.**

<u>9.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 დეკემბრის №29 განკარგულებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ. ქსოვრელიშვილი
13.10 სთ-დან -13.20 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>10.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

მომხს. ნ.ვაყელიშვილი
13.20 სთ-დან -13.30 სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**